აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
Аҧснытәи Автономиатәи Ареспублика Аиҳабыра Ахантәаҩы Идҭа
ბრძანება

№303 2019 წლის 17 დეკემბერი ქ. თბილისი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ელექტრონულ რესურსზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 29 აგვისტოს №27 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ელექტრონულ რესურსზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირებად დაინიშნონ მთავრობის აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი სალომე ჩარკვიანი და მთავრობის აპარატის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი დავით ასრიშვილი.
2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირებს ს. ჩარკვიანს და დ. ასრიაშვილს დაევალოთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 29 აგვისტოს №27 დადგენილების დანართით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის, კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და ვადებში, მთავრობის აპარატის ელექტრონულ რესურსზე - საჯარო ინფორმაციის გვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნება და ცვლილებების შემთხვევაში - განახლება;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 24 იანვრის №7 ბრძანება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ელექტრონულ რესურსზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ“.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი უზრუნველყოს მთავრობის აპარატმა (ო.გარმელია).

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, ანა კალანდაძის 7ა) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე